დამტკიცებულია
თჰუაკადემიურისაბჭოს
2022 წლის 04 მარტის №3 გადაწყვეტილებით

მოდიფიცირებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს
2025 წლის 25 თებერვლის N02
გადაწყვეტილებით

მოდიფიცირებულია
თჰუაკადემიურისაბჭოს
2025 წლის 25 მარტის N5
გადაწყვეტილებით

მოდიფიცირებულია თჰუ
აკადემიური საბჭოს 2025
წლის 03 სექტემბრის N14
გადაწყვეტილებით

სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნეირებათა ფაკულტეტის დებულება

მუხლი 1. სტატუსი

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტატუსს, მისიას, სტრუქტურასა და ფუნქციებს;

2. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „თჰუ“) სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს თჰუ-ის ერთ–ერთ ძირითად საგანმანათლებლო სასწავლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ახორციელებს სამართლის აკადემიურ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

3. ფაკულტეტი ვალდებულია შეუქმნას სტუდენტს საუკეთესო პირობები სწავლისათვის, უზრუნველყოს დარგობრივი სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე; საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება აკადემიური ხარისხი და ეძლევა აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომი, ხოლო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს- სერტიფიკატი.

4. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება თჰუ დებულებით, წინამდებარე დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით;

5. ფაკულტეტის საქმიანობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, დებულებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს აკადემიური საბჭო;

6. ფაკულტეტი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, არ გააჩნია კანცელარია, ბლანკი და ბეჭედი; ფაკულტეტზე საქმისწარმოების პროცესს, მათ შორის კორესპონდენციაზე მუშაობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კანცელარია.

მუხლი 2. მისია

ფაკულტეტის მისიაა წვლილი შეიტანოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე ორიენტირებული ახალი თაობის აღზრდაში, ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი, ხარისხიანი, სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებული და შრომის ბაზრის ცვალებადი მოთხოვნების ადეკვატური საბაკალავრო და სამაგისტრო აკადემიური პროგრამების შეთავაზებით სამართლის, ფსიქოლოგიის, ბიზნესის ადმინისტრირების და სხვა ჰუმანიტარული მიმართულებებით. ფაკულტეტის მისიაა დარგობრივ ინიციატივებზე დაყრდნობით, ასევე, სერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, მოამზადოს კონკრენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც საკუთარი ცოდნით, უნარებით და პასუხისმგებლობით ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას, და საზოგადოების დემოკრატიულ, მდგრად განვითარებას.

მუხლი 3. ამოცანები და ფუნქციები

1. ფაკულტეტი მოქმედი კანონმდებლობის და ამ დებულების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ადგენს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებსა და გეგმებს;

ბ) მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შემუშავებაში;

გ) უნივერსიტეტის დებულებით დადგენილი წესით ირჩევს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში წარმომადგენლებს;

დ) მონაწილეობს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიის შემუშავებაში.

2. ფაკულტეტის ფუნქციებია:

ა) შესაბამისი სპეციალობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებით;

გ) სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქმიანობის კოორდინაცია;

დ) ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტების დამყარება მსოფლიოს უნივერსიტეტებთან;

ე) სახელმძღვანელოების, მეთოდური რეკომენდაციებისა შემუშავება, სილაბუსების და სასწავლო გეგმების შედგენა;

ვ) პროფესორ-მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა.

მუხლი 4.მართვის ორგანოები

ფაკულტეტის მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების მეშვეობით:

ა) ფაკულტეტის საბჭო;

ბ) დეკანი.

გ) დეკანის მაოდგილე;

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის ფაკულტეტის საბჭო შედგება ფაკულტეტზე არჩეული აკადემიური პერსონალისგან (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი). ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტის საბჭოში შედის ასევე სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარდგენილი 2 სტუდენტი;

2. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის განწესება, ასევე ფაკულტეტის საბჭოს აკადემიური საბჭოში აკადემიური პერსონალის განახლება ხდება, მათი აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ავტომატურად, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე;

3. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნან ფაკულტეტის მიერ მოწვეული უფროსი მასწავლებლები, შრომის ხელშეკრულების მოქმედების ვადით;

4. ფაკულტეტის საბჭო ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის დებულებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

ა) განსაზღვრავს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის საფინანსო–საბიუჯეტო მოთხოვნას;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭრისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტზე რეალიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) ამტკიცებს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას;

ე) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს; ამტკიცებს იურიდიული კლინიკის დებულებას;

ვ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ

კენჭისყრებში არ მონაწილეობს; დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

ზ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის კოორდინაციას ფაკულტეტზე;
თ) ქმნის საპროფესოროებს;

თ[1]) ანიჭებს კურსდამთავრებულებს აკადემიურ ხარისხებს/კვალიფიკაციებს;

თ[2]) უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის ატესტაციის ჩატარებას, თჰუ დებულების შესაბამისად;
ი) ახორციელებს თჰუ დებულებითა და ფაკულტეტის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
5. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 6. დეკანი

1. სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და უნივერსიტეტთან და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი;

2. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე 1 თვით ადრე; კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ავტობიოგრაფიისა და ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა; არჩევნები ტარდება გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

3. დეკანის თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტედენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად 3 დღეში ტარდება ხელახალი კენჭისყრა. არჩევნების მეორე ტური ტარდება პირველი ტურის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა დეკანის არჩევა, ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი; დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ, შეზღუდვის გარეშე;

4. დეკანად შეიძლება აირჩეს დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან (გარდა ასისტენტ–პროფესორისა), მაგრამ იმ პირობით, თუ უწყვეტად არის იმავდროულად აკადემიური თანამდებობის პირი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი);

5. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების

სამოქმედო გეგმას, საგანმანათლებლო პროგრამებს, ფაკულტეტის დებულებას;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიურ საბჭოს, აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს წერილობით რეზოლუციებსა და სამსახურებრივ მითითებებს;

ე) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ვ) კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის მიერ ჩამოყალიბებული საპროფესოროებისა და სხვა საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეულების (ლაბორატორია, კლინიკა, კაბინეტი) მუშაობას;

ზ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთობლივად უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო პროსეცის ხარისხის სისტემატური შეფასებას;

თ) ახორციელებს უნივერსიტეტის დებულებით და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

6. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულებით; დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის ბრძანებით ინიშნება დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ახალი დეკანის არჩევამდე.

7. უფლებამოსილებების უკეთ განხორციელების მიზნით დეკანს შეიძლება ჰყავდეს ერთი მოადგილე.

მუხლი 7. დეკანის მოადგილე

1. დეკანის მოადგილეს დეკანის წარდგინებით ნიშნავს რექტორი.
2. დეკანის მოადგილის საქმიანობის მიზანია ფაკულტეტის ფარგლებში სასწავლო მიმართულებით არსებული საქმიანობის ხელშეწყობა. დეკანის მოადგილის ფუნქციებია:

ა) დეკანის დავალებით ფაკულტეტის მართვაში მონაწილეობის მიღება;
ბ) სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის ხელშეწყობა;
გ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევა;
დ) სასწავლო ცხრილების შედგენაში მონაწილეობის მიღება;
ე) დეკანის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.

მუხლი 8. ხარისხის უზრუნველყოფა

ფაკულტეტზე სასწავლო პროსეცის ხარისხის სისტემატური შეფასებას უზრუნვეყოფის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახური დეკანთან და ფაკულტეტის საბჭოსთან ერთობლივად.

მუხლი 9. სასწავლო პროცესი

1. საწავლო პროცესის უშუალო წარმართვასა და კოორდინაციას უზრუნველყოფს ფაკულტეტის დეკანი და სასწავლო პროცესის მენეჯერი.
2. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მენეჯერი არის ფაკულტეტის დამხმარე პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის გამართულ და შეუფერხებელ

ფუნქციონირებას და ფაკულტეტის დეკანის გარდა, მის მუშაობას წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც.
3. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მენეჯერი ექვემდებარება ფაკულტეტის დეკანს და წარმოადგენს მის თანაშემწეს სასწავლო პროცესის წარმართვისას.
4. სასწავლო პროცესის მენეჯერის ძირითადი ფუნქციებია:
ა) სასწავლო განრიგისა და სწავლების პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავება;
ბ) ფაკულტეტზე მიმდინარე ყველა სახის სასწავლო პროცესის აღრიცხვა და კონტროლი;
გ) სასწავლო პროცესის ორგანიზაცია;
დ) ღონისძიებათა შემუშავება სტუდენტების სწავლების ხარისხისა და ეფექტურობის ასამაღლებლად;
5. ფაკულტეტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი მენეჯერი.

მუხლი 10. იურიდიული კლინიკა

1. სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე რეალიზებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ათვისებას უზრუნველყოფს იურიდიული კლინიკა;
2 იურიდიული კლინიკა, კლინიკის დებულებით, სამართლის აკადემიური საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული პროგრამისა და შესაბამისი სილაბუსების საფუძველზე უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკული კურსის რეალიზაციას, რაც თავის მხრივ ორიენტირებულია გამოუმუშავოს ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკული საქმიანობის სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევები;
3. კლინიკური სწავლების კურატორ-პედაგოგებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო ან დეკანი.

მუხლი 11. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი
1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტისაგან.
2. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
3. სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიღების წესი, შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები განისაზღვრება თჰუ დებულებით;
4. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:
ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში, მათ შორის მართვის ორგანოების არჩევნებში;
ბ) დამოუკიდებალად განახორციელოს სწავლება, კვლევა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
გ) განახორციელოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
5. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
ბ) შესრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;
გ) კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული სამუშაოების შესახებ;
დ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებით, დებულებით, წინამდებარე დებულებითა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;
6. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები განისაზღვრება თჰუ დებულებით;
7. ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის შუამდგომლობით ფაკულტეტის მიერ რეალიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეიძლება მოწვეულ იქნას არასაშტატო პერსონალი (უფროსი მასწავლებლები და მასწავლებლები); მოწვევის პირობები განსაზღვრულია თჰუ დებულებით; მოწვეული პერსონალის სემესტრულ დატვირთვას ადგენს დეკანი მათი კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილებისა და პროგრამაში ჩართულობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 12. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები
1. ამ დებულების მიზნებისათვის "სტუდენტში" იგულისხმება პირი, რომელიც "უამაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე რეალიზებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. სტუდენტის სტატუსი, უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია:
ა) საქართველოს კანონმდებლობით;
ბ) უნივერსიტეტის დებულებით;
გ) უნივერსიტეტის შინაგანაწესით;
დ) საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები.
1. ფაკულტეტის დებულებას შეიმუშავებს სამართლის, ბიზნეის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თჰუ აკადემიური საბჭო;
2. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.